ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

90 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №6 (7105) 15 მარტი 2024 წელი

საერთაშორისო მაგისტრალური გზის (E60), ზესტაფონის შემოვლითი მონაკვეთი მაისში გაიხსნება!

☞2



კარგი სასტარტო ბაზა, კარგი საბოლოო შედეგები...

ორთვენახევარი გავიდა მიმდინარე—2024 საბიუჯეტო წლის დაწყებიდან.

როგორც წესი, ყოველი ახალი წლის ეს პერიოდი აუცილებლადაა საჭირო მუნიციპალიტეტის წლის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ყველა მიმართულების და პარამეტრის საბოლოოდ განსაზღვრისა და მათ შესასრულებლად საჭირო სხვადასხვა ტექნიკური თუ ორგანიზაციული სახის ღონისძიებების განსახორციელებლად.

წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ რაც უფრო სწორადაა განსაზღვრული, ამასთან დროული და ეფექტურია მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ გაწეული ეს მოსამზადებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური სამუშაოები, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ კარგად შესრულდეს წლის საბიუჯეტო პარამეტრები, ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური პროგრამები...

☞3

ცხოვრების მასწავლებელი...

☞5

დაღუპული გმირების დედებისა და დაქვრივებული მეუღლეების პატივსაცემად

☞2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოხატავენ სოფელ ზედა საზანოში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის გამო, რასაც მოჰყვა ოთხი ადამიანის დაღუპვა და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს, ნათესავებს და მეგობრებს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მომხდარი ტრაგედიის გამო, თერჯოლის მერიის გადაწყვეტილებით, ქალაქში, ქალთა დღესასწაულის თემაზე დაგეგმილი ყველა ღონისძიება გაუქმდა!

ფიქრები ოთხ განსაკუთრებულ მოვლენაზე

☞8

უმძიმესი ტრაგედია, მოუშუშებელი ტკივილი...

ძალიან გაგვიხშირდა ტრაგიკული დღეები...

ორმაგად სამწუხაროა, რომ იღუპებიან ახალგაზრდები, ისინი, ვინც ჩვენი ქვეყანა უნდა ჩაიბარონ...

თერჯოლისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის საზოგადოება, სრულიად საქართველო, კიდევ ერთხელ შეძრა თერჯოლის სოფელ ზედა საზანოში, მდინარე ძუსას ხეობაში წყალვარდნილის, ე.წ. „ქადაგიძის რაფის“ მონაკვეთზე, 2 მარტს მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ, რომელმაც სიცოცხლესა და ხვალინდელ დღეზე უსაზღვროდ შეყვარებული სამი ახალგაზრდის, ჭიათურის №1 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეების: ნინო კენჭოშვილის, ელენე შუკაკიძის და ლიზი რობაქიძის სიცოცხლე შეიწირა. ისინი ერთად სტუმრად იმყოფებოდნენ ლიზი რობაქიძის მამის სოფელში. საშველად მისული ლიზის მამაც მათთან ერთად დაიღუპა.

☞7

საერთაშორისო მაგისტრალური გზის (E60), ზესტაფონის შემოვლითი მონაკვეთი მაისში გაიხსნება!

ამ დღეებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, რიკოთის შემადგენელი შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს.

„დასკვნით ფაზაშია რიკოთის შემადგენელი შორაპანი-არგვეთას მონაკვეთი, სადაც გაჭრილია პროექტით გათვალისწინებული ათივე გვირაბი, 17 ხიდიდან აშენებულია 15 ხიდი და 2 ხიდზე მიმდინარეობს კოჭების მოწყობა, ასევე საფარის, საინჟინრო სისტემების და სხვა სამონტაჟო სამუშაოები. შესაბამისად, შორაპანი-არგვეთას მონაკვეთზე ზესტაფონის შემოვლითი გზით მოსახლეობა მაისიდან ისარგებლებს,“—ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ განაცხადა.

მინისტრის თქმით, მაისიდან ავტოტრანსპორტს აღარ მოუწევს ქალაქ ზესტაფონში შესვლა და ისარგებლებს ზესტაფონის შემოვლითი, ახალი 4 ზოლიანი გზით, რომელიც არგვეთას კვანძთან შეუერთდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნულ მაგისტრალს.

„ზესტაფონის შემოვლითი გზის გახსნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც კომფორტულ და შეუფერხებელ გადაადგილებას, ისე საგზაო უსაფრთხოების სტანდარტის გაზრდას. ბუნებრივია,

გზის დარჩენილ მონაკვეთზე კი, გაგრძელდება სამუშაოები“— აღნიშნა ირაკლი ქარსელაძემ.

„E-60 მაგისტრალის იმერეთის მონაკვეთის უმნიშვნელოვანესი ნაწილი მაისში გაიხსნება და ზესტაფონის გვერდის ავლით ჩვენი თანამოქალაქეები შეძლებენ გადაადგილებას დასავლეთის მიმართულებით. ყველასთვის ცნობილია, რომ ეს მონაკვეთი ძალიან რთული იყო და ვფიქრობ მნიშვნელოვნად შემცირდება გადაადგილების დრო. რა თქმა უნდა, ჩვენ გავითვალისწინეთ იმ ბიზნესის ინტერესებიც, რომლებიც ოპერირებენ ზესტაფონში. რამდენიმე დღეში გამოცხადდება აუქციონი, სადაც დაინტერესებული პირები გაეცნობიან, თუ სად გეგმავს სახელმწიფო ისეთი მოედნების მოწყობას, სადაც უკვე ალტერნატიული შესაძლებლობა ექნებათ იგივე ბიზნესის განვითარებისა“—აღნიშნა ზვიად შალამბერიძემ.

ახალ მაგისტრალურ გზასთან მოეწყობა სპეციალური სავაჭრო მოედნები. უკვე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები შროშასთან შესაბამისი მოედნების მოსაწყობად, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას თიხის ნაკეთობების რეალიზაციის შესაძლებლობა ექნება. გარდა ამისა, უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში, სურამში და ზესტაფონში გამოცხადდება ტრადიციული პროდუქციით სავაჭრო ადგილებისთვის გათვალისწინებული მოედნების და ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

რიკოთის მაგისტრალური გზის მშენებლობის ფარგლებში, ჯამში, შენდება 52 კმ-მდე კმ გზა, 97 ხიდი და 51 გვირაბი. ამ დროისათვის, 51 გვირაბიდან უკვე გაჭრილია 50 გვირაბი და 51-ე გვირაბის გაჭრის სამუშაოები მიმდინარეობს. აქედან, 38 გვირაბით ავტოტრანსპორტი უკვე სარგებლობს. ასევე, პროექტით გათვალისწინებული 97 ხიდიდან უკვე აშენებულია 89 ხიდი. 65 დასრულებული ხიდით ავტოტრანსპორტი უკვე სარგებლობს.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების ჯამური ღირებულება 2.6 მილიარდ ლარამდეა. სამშენებლო სამუშაოები 2024 წელს დასრულდება.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

დაღუპული გმირების დედებისა და დაქვრივებული მეუღლეების პატივსაცემად

დედის დღის დღესასწაულთან დაკავშირებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად, აფხაზეთისა და აგვისტოს ომში დაღუპული გმირების ოჯახებს ესტუმრნენ.

მათ, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, პირადად მიულოცეს დედის დღე თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გმირების დედებს და მეუღლეებს.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილეები—ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები—დავით გოგბერაშვილი და ჯემალ ისაკაძე, ადმინისტრაციულ ერთეულებში მაჟორიტარი დეპუტატები, მერის წარმომადგენლები და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2024 წლის 6 მარტს, გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომის დაწყებამდე, საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საზანოში მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაღუპულების ოჯახებსა და ახლობლებს სამძიმარი გამოუცხადა. საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით, მიაგეს პატივი გარდაცვლილთა ხსოვნას.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს და მხარი დაუჭირეს ცამეტ საკითხს. აქედან, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ, წარმოადგინა ექვსი საკითხი, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ წარმოადგინა ხუთი საკითხი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ წარმოადგინა ორი საკითხი.

აღნიშნულ საკითხებზე საკრებულოს სხდომამდე, ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის, იურიდიულ საკითხთა კომისიის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსა” და ბიუროს სხდომებზე იმსჯელეს.

საკითხების წარმოდგენის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საკრებულოს უმრავლესობის, ოპოზიციის წარმომადგენლებისა და მოქალაქის შეკითხვებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - გიორგი ბარათაშვილმა და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებმა უპასუხეს.

საკრებულოს 6 მარტის სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილეები ზვიად ბაზაძე, მირზა ქოჩიაშვილი და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრა ეწრის მოსახლეობასთან

მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ შეხვედრა გამართა სოფელ ეწრის მოსახლეობასთან. შეხვედრაზე ერთად იმსჯელეს მხარეებმა ეწრიდან თერჯოლისკენ გამოსასვლელი გზის მშენებლობის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სამუშაო შეხვედრას ეწრის გზის მშენებელი კომპანიის პასუხისმგებელი პირი, საკრებულოს, დეპუტატის ბიუროს და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის მერმა მიმდინარე პროექტის შესახებ ისაუბრა, მანუჩარ რობაქიძემ და შეხვედრის მონაწილეებმა ერთად შეაჯერეს ის წინადადებები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად გათვალისწინებული იქნება გზის მშენებლობის დროს.

გოგნი-ტყიბულის გზა

ამ დღეებში გოგნი-ტყიბულის დამაკავშირებელ საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც ორი მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანესი მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტია, მონიტორინგის ფარგლებში თერჯოლის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად მოინახულა.

პროექტის მიხედვით, აღნიშნულ მისამართზე ერთ კილომეტრამდე გზა მოეწყობა არმირებული ბეტონის საფარით. სატენდერო ვალდებულებას შპს „სანდრო“ ასრულებს. პროექტის ღირებულება 315 484 ლარია.

ეს გოგნი-ტყიბულის საავტომობილო გზის მეორე მონაკვეთია, ერთი მონაკვეთი 2023 წელს მოეწყო.

სიქთარვის გზა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ერთდროულად 15 საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელთა მონიტორინგის ფარგლებში, თერჯოლის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ბარათაშვილთან ერთად, სოფელ სიქთარვის გზა დაათვალიერა.

სიქთარვაში სარეაბილიტაციო პროექტის მიხედვით, არმირებული ბეტონის საფარით გზის 1,5 კილომეტრი მოეწყობა.

სამუშაოებს შპს „ალპედე“ ასრულებს. პროექტი რგფ-იდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 315 700 ლარია.

კარგი სასტარტო ბაზა, კარგი საბოლოო შედეგები...

1☞

უნდა ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, ბოლო წლებში, როგორც მერიის, ისე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში, სულ უფრო აშკარად იკვეთება საკითხებზე ოპერატიულად შეჯერებული თანამშრომლობის პრაქტიკა... მაგალითისათვის ისიც საკმარისი იქნება ვთქვათ, რომ მაქსიმალურად ოპტიმალურ დროში—ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში მოხდა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მთავარი ფინანსური დოკუმენტის—2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცება, რითაც გაჩნდა შესაძლებლობა, რომ ასევე მაქსიმალურად ოპტიმალურ ვადებში დამტკიცებულიყო მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის გადაუდებლად საჭირო სოციალური პროგრამები და ინფრასტრუქტურული პროექტები.

ამ პროგრამებს შორის ბოლო აკორდი იყო მიმდინარე წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის განხილვა-დამტკიცება, მისი პროცედურული წესის გათვალისწინებით, მნიშვნელოვან დროს ითხოვს. ეს პროცედურული ნორმებია სასოფლო კრებების, მოსახლეობასთან შეხვედრა-კონსულტაციების ჩატარება და შემდგომ მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტების შესწავლა, საკრებულოში განხილვა-დამტკიცება, პროექტების და ტენდერების მომზადება-გამოცხადება, ტენდერებში გამარჯვებულ შემსრულებლებთან ხელშეკრულებების დაკონტრაქტება და სხვა.

ხაზგასასმელია, რომ სოფლის მხარდაჭერის ეს პროგრამაც, მარტის თვის პირველივე რიცხვებში (6 მარტი) დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტში, მთელი ამ პერიოდის მანძილზე, აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა სხვა მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც ფინანსდებიან როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ისე რეგიონული განვითარების ფონდიდან, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი სახსრებიდან თუ სხვა ფინანსური წყაროებიდან.

სწორედ ამ თემებზე ისაუბრა ვრცლად, მარტის პირველ რიცხვებში, მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ თავის სატელევიზიო ჩართვაში „მაესტრო რეგიონების“ წამყვან ირაკლი მაისურაძესთან.

მართალია, ჩვენი გაზეთი ამ პრიორიტეტული მიმართულებების თაობაზე სისტემატურად აშუქებს ინფორმაციებს, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ აუცილებელია შემოგთავაზოთ ამ სატელევიზიო ინტერვიუს ბეჭდვური ვერსიაც.

ჟურნალისტის შეკითხვებზე პასუხი მუნიციპალიტეტის მერმა იმის აღნიშვნით დაიწყო, რომ 2023 წელში მუნიციპალიტეტში 129 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რასაც თითქმის 11 მილიონი ლარი მოხმარდება.

შემდეგ მანუჩარ რობაქიძემ მიმდინარე წლის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა. მან თქვა:

რეგიონული განვითარების ფონდიდან, პირველ ეტაპზე ამ პროექტების დაფინანსებამ შეადგინა 5,513 მლნ ლარი, რაზედაც ტენდერები უკვე გვქონდა გამოცხადებული, დაკონტრაქტებული და სამუშაოები დაწყებულია ამ ეტაპის ყველა პროექტზე. ამ პროექტებიდან 2 არის საგანმანათლებლო სივრციდან (მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი, მუსიკალური სკოლა). ერთიც წყალმომარაგებაზე, დანარჩენი 18 კი საგზაო ინფრასტრუქტურაა.

აღნიშნულ პროექტებთან ერთად უკვე ასევე ინტენსიურ რეჟიმში მიდის მუშაობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით დაფინანსებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ამ პროექტებიდან პირველ რიგში გამოვყოფ ჩვენი სოციალური პროგრამების იმ პროექტს, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ბენეფიციარებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას.

ეს პროექტი მუნიციპალიტეტში 2019 წლიდან მოქმედებს და უკვე აშენებული გვაქვს 29 სახლი. დღეის მდგომარეობით კი მთხოვნელ-განმცხადებელთაგან, მერიის შესაბამისმა ჯგუფმა უკვე შეარჩია 12 სოციალურად დაუცველი ოჯახი. ჩვენ მომავალ კვირაში უკვე ვაცხადებთ ტენდერს ამ სახლების მშენებლობაზე და ამ ოჯახებს, მიმდინარე წლის სულ რამდენიმე თვეში ექნებათ ახალი საცხოვრებელი სახლი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ასევე დაფინანსდება სოფლებში ახალგაზრდებისათვის ტრენაჟორების და გასართობი ატრაქციონების მოწყობა ბავშვებისათვის. ქალაქ თერჯოლაში კეთილმოეწყობა 9 აპრილის ქუჩა, სადაც გაკეთდება სანიაღვრე არხები და სხვა. სულ მიმდინარე წელს განვახორციელებთ 30 პროექტს, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გვაქვს 1,5 მლნ ლარი.

რაც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამას, ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტს გამოყოფილი აქვს 690.0 ათასი ლარი.

ჩვენ უკვე ჩავატარეთ შეხვედრა-კონსულტაციები და კრებები მოსახლეობასთან. ეს ძალიან საინტერესო პროცესი იყო, კარგად იგრძნობოდა მოსახლეობის სურვილი მასში მათი აქტიურად ჩართვისათვის. მოსახლეობა მაღალი პასუხისმგებლობით და გაგებით მოეკიდა პროექტების განხილვისა და შერჩევის საქმეს. საბოლოოდ შეირჩა 63 პროექტი (პროექტები უკვე დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე-რედ. იხ. გვ4).

უნდა ითქვას, რომ ჩვენ გადავდგით ნაბიჯი იმისათვის, რომ გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ აუცილებელი პროექტის განსახორციელებლად სოფელს არ ჰყოფნიდა გამოყოფილი პროგრამული თანხა, იგი შეგვევსო ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამ მიზნით გამოვყავით 100,0 ათასი ლარი, რაც ძირითადში დაემატება რამდენიმე სოფელში სტადიონების მოწყობისათვის საჭირო თანხებს.

როცა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის არჩევანი მრავალფეროვანია და ყველა საერთო ინტერესებიდან და არსებული პრობლემებიდან გამომდინარეობენ.

შერჩეულია 63 პროექტი. ამ პროექტების მიხედვით აშენდება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 7 სტადიონს. ბეტონის საფარით მოეწყობა ათეულობით მეტრი ის პრობლემური გზა, რომელთაც არ უხერხდებათ ქვიშა-ღორღით შეკეთება და სანიაღვრეების გაკეთება, აღმართებისა და სივიწროვის გამო.

რაც შეეხება საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურას, რომელიც ჩვენთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, უკვე გამოცხადებულია ტენდერი ქალაქ თერჯოლის №1 საჯარო სკოლაზე და უახლოეს პერიოდში ტენდერი ასევე გამოცხადდება ღვანკითის სკოლაზე, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდის და განათლების სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდება. ხოლო რაც შეეხება ძევრის საჯარო სკოლას, მასზე უკვე ტენდერი შედგა, კონტრაქტიც გაფორმებულია და უახლოეს პერიოდში ველოდებით მშენებლობის დაწყებას.

რაც შეეხება საბავშვო ბაღებს—იგივე სოფელ ძევრში უკვე მშენებლობის პროცესშია ახალი ბაღის მშენებლობა 50 ბავშვზე, სადაც უკვე შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები. ამ ეტაპზე მშენებლები ელოდებიან ჩასხმული ხსნარ-ბეტონის გაშრობას სამუშაოების გასაგრძელებლად.

უკვე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ ეწერის საბავშვო ბაღში და სხვა.

ჩვენ მძიმე მდგომარეობა შეგვიქმნა 6-7 თებერვლის სტიქიამ. გრიგალისებურმა ქარმა გადახადა 102 საცხოვრებელი სახლი, დაზიანდა 2 საცხოვრებელი კორპუსი, ხიდ-ბოგირებიც კი, აღარაფერს ვამბობთ საკომუნიკაციო, ელექტროგადამცემ ხაზებსა თუ წაქცეულ ხეებზე.

ყველა ოჯახში, სადაც კი სახურავებს ზიანი მიადგა, შეკეთებისათვის საჭირო მასალები ოპერატიულად უკვე მივიტანეთ. ხოლო 8 სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელთაც სახლები დაუზიანდათ შეკეთების სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერია შეუსრულებს. რა თქმა უნდა ყველა დაზიანება ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ გვაქვს, მაგრამ მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები. კერძოდ, უკვე მზადდება პროექტი რამდენიმე ხიდ-ბოგირზე. თანხები სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილია და ჩვენ შევძლებთ, რომ ყველა დაზიანება მთლიანად აღმოვფხვრათ ეტაპობრივად. ☞4

ინფრასტრუქტურული პროექტები

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის მონიტორინგის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, ბარდუბნის და ქალაქ თერჯოლის სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის საავტომობილო გზების, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

მონიტორინგზე ასევე იმყოფებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, მოადგილე ჯემალ ისაკაძე, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები: გოჩა ვერულაშვილი, ელისო მურადაშვილი და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები.

ორივე ინფრასტრუქტურული

პროექტი, რგფ-იდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

სოფელ ბარდუბანში, ერთკილომეტრიანი გზა მოეწყობა არმირებული ბეტონის საფარით, სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს „ალპედე“ ასრულებს. პროექტის საერთო ღირებულება 315 ათასი ლარია.

ქალაქ თერჯოლაში სარეაბილიტაციო გზის საპროექტო ღირებულება კი 299 514 ლარია. მის რეაბილიტაციაზე მუშაობს შპს „მეკა“, რომელიც კილომეტრამდე გზას არმირებული ბეტონის საფარით მოაწყობს.

სამუშაოთა მწარმოებლების თქმით, ორივე პროექტი დაგეგმილ ვადებში დასრულდება და მოსახლეობას საშუალება ექნება კეთილმოწყობილი გზით ისარგებლოს.

ეს ორი პროექტი იმ 21 პროექტის ჩამონათვალშია, რომლებსაც თერჯოლის მუნიციპალიტეტში, რეგიონული განვითარების ფონდი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განახორციელებს.

საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის სამუშაოები ასევე აქტიურად მიმდინარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ლოკაციაზე.

თერჯოლის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად, პირადად დაათვალიერა კვახჭირი-ოდილაურის და თუზი-თავასას დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ორივე ინფრასტრუქტურული პროექტი რგფ-იდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

მიმდინარე წელს, არმირებული ბეტონის საფარით და სანიაღვრე არხებით, სოფელ კვახჭირი-ოდილაურის საავტომობილო გზის კილომეტრნახევრიანი მონაკვეთი მოეწყობა, სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს „გიან 2011“ ასრულებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ასევე მიმდინარეობს თუზი-თავასას დამაკავშირებელ საგზაო მონაკვეთზე, რასაც შპს „ჯეო როუდ ინვესტი“ აწარმოებს.

თუზი-თავასას ერთკილომეტრიანი საავტომობილო გზაც არმირებული ბეტონის საფარით და სანიაღვრე არხებით მოეწყობა.

კარგი სასტარტო ბაზა, კარგი საბოლოო შედეგები...

3☜

მინდა ვისარგებლო შესაძლებლობით და დიდი მადლობა გადავუხადო „ენერგოპრო“ და „სოკარჯორჯიას“ ყველა თანამშრომელს, რომელიც 24 საათის განმავლობაში მუშაობდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ. პირდაპირ ვიტყვი, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით, რომ რაც შეიძლება ნაკლები პრობლემა შექმნოდა მოსახლეობას და ყოველდღიურ საჭიროებებთან დაკავშირებული ყველა შეფერხება ოპერატიულად აღმოფხვრილიყო.

***

ინტერვიუს ბოლოს, გადაცემის წამყვანი, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად დაინტერესდა 2024 წლის სოციალური პროგრამებითაც, რაზედაც მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა:

მუნიციპალიტეტის წლევანდელი ბიუჯეტი მთლიანობაში, შარშანდელ ბიუჯეტთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა—იყო 16,5 მლნ ლარი და ახლა არის 19.0 მლნ. ლარი. ეს ზრდა, რა თქმა უნდა, გადანაწილდა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სოციალური პროგრამების დაფინანსების გაზრდისათვის. ამ მხრივ ერთი მაგალითი უკვე მოვიყვანე (სახლების მშენებლობა-რედ.). ასევე სამაგალითოდ,—თუ შარშან მხოლოდ ერთჯერადად შეგვეძლო დახმარება სხვადასხვა სამედიცინო ოპერაციების გასაკეთებლად, შესაბამისი კომისია წელს უფლებამოსილი გავხადეთ, რომ საჭიროების მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება ერთი ბენეფიციარის ოპერაციის მრავალჯერადად დაფინანსებისათვის.

დაინტერესებულ მკითხველს შევახსენებთ, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს სულ მოქმედებს 14 სხვადასხვა სოციალური პროგრამა. ამ პროგრამებით სარგებლობის წესი გამოქვეყნებულია ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის თებერვლის ნომრებში.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები

ძევრის ადმინისტრაციული ერთეული

ძევრი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, 16,0 ათასი ლარი

ოქონა—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, 10,0 ათასი ლარი

სეფარეთი—გარე განათების ქსელის მოწყობა, 10,0 ათასი ლარი

ჩხარის ადმინისტრაციული ერთეული

ჩხარი—სოფლის ცენტრში მინი სპორტული მოედნის მოწყობა, 16,0 ათასი ლარი

მაცხოვარი—სხვადასხვა უბნებში გარე განათების მოწყობა, 16,0 ათასი ლარი

გოგნის ადმინისტრაციული ერთეული

გოგნი—ინერტული მასალების შეტანა და გაშლა, 16,0 ათასი ლარი

თუზის ადმინისტრაციული ერთეული

თუზი—ორ ლოკაციაზე 1000 მმ-იანი ბოგირების მოწყობა, 3,0 ათასი ლარი

თუზი—ინერტული მასალების შეტანა და გაშლა, 17,0 ათასი ლარი

კაკაბოური—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, 10,0 ათასი ლარი

თავასა—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, 12,0 ათასი ლარი

ჯგილათი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, 10,0 ათასი ლარი

ვარდიგორა—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, 16,0 ათასი ლარი

ზედა საზანოს ადმინისტრაციული ერთეული

საზანო—ინერტული მასალების შეტანა და გაშლა, 20,0 ათასი ლარი

დელტასუბანი— გრუნტის სანიაღვრე არხის გაჭრა და გატანა, 1,0 ათასი ლარი

დელტასუბანი—ინერტული მასალების შეტანა და გაშლა, 15,0 ათასი ლარი

შიმშილაქედი—ინერტული მასალების შეტანა და გაშლა, 7,0 ათასი ლარი

შიმშილაქედი— ცხაურის მოწყობა ლობიაძეების უბანში, 3,0 ათასი ლარი

ჩიხორი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, 12,0 ათასი ლარი

მუჯირეთი—1500 მმ-იანი მილბოგირის მოწყობა, 3,0 ათასი ლარი

მუჯირეთი—ინერტული მასალების შეტანა და გაშლა, 7,0 ათასი ლარი

სკანდე—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, 16,0 ათასი ლარი

ალისუბნის ადმინისტრაციული ერთეული

ქვედა ალისუბანი—გარე განათების მოწყობა, 20,0 ათასი ლარი

ზედა ალისუბანი—ტაძრის ეზოს განათება, 2,0 ათასი ლარი

ზედა ალისუბანი—სასაფლაოს ეზოს შემოღობვა, 14,0 ათასი ლარი

ზარნაძეები—გარე განათების ქსელის მოწყობა, 12,0 ათასი ლარი

თხილთაწყარო—გარე განათების მოწყობა, 10,0 ათასი ლარი

მაჩიტაური—ცხაურის მოწყობა, 1 500 ლარი

მაჩიტაური—გარე განათების მოწყობა, 8 500 ლარი

რუფოთის ადმინისტრაციული ერთეული

რუფოთი—ინერტული მასალების შეტანა და გაშლა, 20,0 ათასი ლარი

ტელეფა—ინერტული მასალების შეტანა და გაშლა, 16,0 ათასი ლარი

ღვანკითის ადმინისტრაციული ერთეული

ღვანკითი—სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე არხების ცხაურების და ბოგირების მოწყობა, 20,0 ათასი ლარი

ბარდუბნის ადმინისტრაციული ერთეული

ბარდუბანი—გარე განათების მოწყობა, 20,0 ათასი ლარი

სათემო—გარე განათების მოწყობა, 12.0 ათასი ლარი

ეწრის ადმინისტრაციული ერთეული

ეწერი—საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა, 4,0 ათასი ლარი

ეწერი—სხვადასხვა უბნებში გრუნტის და სანიაღვრე არხის მოწყობა გრუნტის გატანით და გატანის გარეშე, 13,0 ათასი ლარი

ეწერი—სანიაღვრე ცხაურისა და ბოგირის მოწყობა სხვადასხვა უბანში, 3.0 ათასი ლარი

ახალი უბანი—ბოგირის მოწყობა, 1,0 ათასი ლარი

ახალი უბანი—ინერტული მასალების შეტანა და გაშლა, 11,0 ათასი ლარი

სიქთარვის ადმინისტრაციული ერთეული

სიქთარვა—მინი სტადიონის მოწყობა ჩხარი-ეწერში, 20,0 ათასი ლარი

ჩხარი-ეწერი—მინი სტადიონის მოწყობა ჩხარი-ეწერში 16,0 ათასი ლარი

ახალთერჯოლის ადმინისტრაციული ერთეული

ახალთერჯოლა—ინერტული მასალების შეტანა და გაშლა, 20,0 ათასი ლარი

ბოსელა—ინერტული მასალების შეტანა და გაშლა, 10,0 ათასი ლარი

კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეული

კვახჭირი—სხვადასხვა უბანში სანიაღვრე არხების, ცხაურების და ბოგირების მოწყობა, 7,0 ათასი ლარი

კვახჭირი-გარე განათების მოწყობა, 9,0 ათასი ლარი

ოდილაური—მამრიკიშვილების უბანში სკვერის კეთილმოწყობა, 16,0 ათასი ლარი

სარბევი—ძიძიგურის და ლტოლვილების უბანში სადრენაჟე ჭის მოწყობა, 8,0 ათასი ლარი

სარბევი—სხვადასხვა უბნებში გარე განათების მოწყობა, 8,0 ათასი ლარი

გოდოგნის ადმინისტრაციული ერთეული

გოდოგანი—სანიაღვრე არხების, ცხაურების და ბოგირების მოწყობა სხვადასხვა უბანში, 10,0 ათასი ლარი

გოდოგანი—საუბნო გზებზე ბეტონის საფარი მოწყობა, 10,0 ათასი ლარი

ნაგარევი—ზაქარაშვილების და ხუციშვილების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა, 12,0 ათასი ლარი

ბროლისქედი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარი მოწყობა, 12,0 ათასი ლარი

ჭალასთავი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, 10,0 ათასი ლარი

ჭოგნარის ადმინისტრაციული ერთეული

ჭოგნარი—სანიაღვრე არხის მოწყობა, 12,0 ათასი ლარი

ჭოგნარი—გარე განათების მოწყობა, 8,0 ათასი ლარი

ნახშირღელის ადმინისტრაციული ერთეული

ნახშირღელე—გარე განათების მოწყობა, 20,0 ათასი ლარი

ნავენახევი—ნავენახევში ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა, 12,0 ათასი ლარი

ქვედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული

ქვედა სიმონეთი—მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა სოფლის ცენტრში, 8,0 ათასი ლარი

ქვედა სიმონეთი—მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა გვენეტაძეების უბანთან, 3,0 ათასი ლარი

ქვედა სიმონეთი—ცხაურების მოწყობა სხვადასხვა უბანში, 7,0 ათასი ლარი

ქვედა სიმონეთი—წყაროს კეთილმოწყობა, 2,0 ათასი ლარი

ზედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული

ზედა სიმონეთი—კუტალაძეების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა, 9,5 ათასი ლარი

ზედა სიმონეთი—მუზეუმის უბანში გარე განათების მოწყობა, 4,5 ათასი ლარი

ზედა სიმონეთი—მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა გიორგაძეების და აბჟანდაძეების უბნებში, 6,0 ათასი ლარი

სახლები სოციალურად დაუცველებს

ადამიანს უამრავი მოვალეობა დააკისრა ზენაარმა, მათ შორის მთავარი—დარგოს ხე, შექმნას ოჯახი და შექმნას შთამომავლობა.

ოჯახის შექმნა თავისთავად ასოცირდება სახლის აგებასთან. ვის არ წაუკითხავს ნოდარ დუმბაძის რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. რომანის ქვეთავში—„რა არის სახლი“ ასე მოძღვრავს კომენდანტი დომენტი სტუდენტ ზურიკო ვაშალომიძეს: „ოჯახი და სახლი განუყოფელია ერთმანეთისაგან, თუ სახლი არ გაქვს, ცოლს ვერ მოიყვან, თუ ცოლი არ გყავს, სახლში ვერ მოიყვან“. განუზომელია სურვილი გქონდეს საკუთარი ბინა. გალაკტიონს აქვს ერთ-ერთ ლექსში ასეთი სტრიქონები: „მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი, ვით უბინაოს ყოფნა ბინაში“. ღვთის მადლით და კაცის შემწეობით დღეს საქართველოში კვლავ იგება უამრავი სახლი, იქმნება ოჯახები, მრავლობს შთამომავლობა... ქვეყნის აღორძინების და განვითარების კვალობაზე ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდება. თუმც დღესდღეობით ცოტა როდია ადამიანი, ვისაც სახლის აგების შესაძლებლობა არ აქვს, მით უფრო ისეთებს, რომლებიც სოციალურად დაუცველნი არიან. საბედნიეროდ, ასეთები ყურადღებით არიან გარემოსილნი ხელისუფლებისაგან არა

სიტყვით, არამედ საქმით. კერძოდ, 2019 წლიდან მოქმედებაშია პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს. დღემდე, ამ დროის განმავლობაში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში აშენებულია 29 სახლი. ახალ 2024 წელს გათვალისწინებულია აშენდეს 12 სახლი.

იგი ოჯახების ნორმალური ცხოვრებისათვის ყველა პირობას აკმაყოფილებს.

ჩვენს გაზეთში პერიოდულად შუქდება მასალები სოციალურად დაუცველთა ახალმოსახლეობის შესახებ. გასაგებია ის სიხარული, რომელსაც ბენეფიციარები განიცდიან და მადლიერება ხელისუფლებისადმი ასეთი უანგარო დახმარების გამო.

მუნიციპალიტეტში ბინების მშენებლობას რამოდენიმე სამშენებლო ორგანიზაცია ასრულებს. გვქონდა საშუალება ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, შპს „იდეალმშენის“ ხელმძღვანელს გოგა რუხაიას გავსაუბრებოდით. სახლების უმეტესობა სწორედ ამ საწარმოს აგებულია.

ჩვენი საწარმოს მიერ თერჯოლის მუნიციპალიტეტში 19 ბინაა აშენებული—გვეუბნება ბატონი გოგა. პირველი სახლი 2020 წელს სოფელ გოგნში ავაგეთ. მშენებლობაზე ძირითადად ადგილობრივი მუშახელია დასაქმებული, თითოეული მათგანი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს, კარგად იციან, რომ ბინებში ადამიანები უნდა შესახლდნენ, რომლებიც ყველასაგან შემწეობას და დახმარებას საჭიროებენ. ვერ აგიწერთ ბენეფიციართა ბედნიერ სახეებს, სიხარულს, როცა წესრიგში საბოლოოდ მოყვანილი, დამთავრებული სახლის გასაღები გადაეცემათ. საზეიმო რიტუალში, უმეტესად, თვით მხარის გუბერნატორი ბატონი ზვიად შალამბერიძე და მუნიციპალიტეტის მერი ბატონი მანუჩარ რობაქიძე მონაწილეობენ. გვიხარია და გვეამაყება, რომ მკვიდრად ნაგები სახლების გამო შექებას და მადლიერებას ვიმსახურებთ.

ღმერთმა ყველას მშვიდობაში მოახმაროთ.

ი. ერაძე

ცხოვრების მასწავლებელი...

თებერვლის 27-ში მისი მოსწავლეები ყოველთვის იებს ახვედრებდნენ საკლასო ოთახში, ზოგჯერ ეზოს ჭიშკართან ან კიბის საფეხურებზეც, ასე გამოხატავდნენ მისადმი სიყვარულსა და პატივისცემას.

ეს იყო „სიყვარული, სიყვარულის წილ...“

დიახ, ნარგიზ ცქიფურიშვილს მოსწავლეები განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა და დღემდე უყვარს თითოეული მათგანი, სწორედ ისეთები, როგორებიც იყვნენ: ძლიერი თუ სუსტები, ბეჯითები თუ ზარმაცები, მოწესრიგებული, ყურადღებიანი თუ ცელქი-ონავრები. მას უზნეო, უზრდელი მოსწავლე არ ჰყოლია, უბრალოდ, ასეთები ვერ იქნებოდნენ მისი მოსწავლეები. ის თითოეულის მეგობარი, მესაიდუმლე, დამხმარე, დამრიგებელი და შეიძლება ითქვას ცხოვრების გზის მკვლევარიც იყო. ნარგიზ მასწავლებელი რჩევა-დარიგებითა თუ პირადი მაგალითით არაერთ მის აღზრდილს დახმარებია ღირსეული ადგილი ეპოვა ცხოვრებაში.

პენსიონერ პედაგოგს დღეებს ულამაზებს და ბედნიერებას ანიჭებს ყოფილი მოსწავლეებისაგან ყურადღება, სიყვარული და პატივისცემა, დღემდე რჩება მათ „მასწავლებლად“, მეგობრად თუ გულშემატკივრად, ამიტომაც არ ივიწყებენ, არ წყდება მათ შორის კავშირი, ხშირად სტუმრობენ და თითქოს ანგარიშს აბარებენ, ისე უყვებიან თავიანთ ცხოვრებასა და საქმიანობაზე.

„მოსწავლე ჩირაღდანია, რომელიც უნდა აანთო“—ამბობდა ბერძენი ფილოსოფოსი პლუტარქე, მაგრამ იქცე გზის მანათობლად ასობით მოსწავლისათვის, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია...

სწორედ ასეთი გამორჩეული პედაგოგის იუბილეა დღეს, ქალბატონი ნარგიზ ცქიფურიშვილი 79-ედ ხვდება დაბადების დღეს!

დამსახურებული და მრავალი ჯილდოს მფლობელი პედაგოგი უბადლო ფილოლოგი, მრავალი თაობისათვის გეზისა და სტიმულის მიმცემი... დღემდე ჩაუქრობელი და შთამაგონებელი ლამპარი! მისი ცხოვრების მიზანი, მოსწავლეებში ეროვნული და პიროვნული ღირებულებების მყარად დანერგვა იყო. შეძლო კიდეც, რადგან ღირსების, ადამიანობის, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის მაგალითია თავად.

ნარგიზ ცქიფურიშვილმა თერჯოლაში ნამდვილად შექმნა ეპოქა.

გილოცავთ ქალბატონო ნარგიზ, წელთა სიმრავლეს, მხნეობასა და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ, წერია თერჯოლის №2 საჯარო სკოლის პედკოლექტივის მიერ სოციალურ ქსელში დაწერილ მილოცვაში.

„საგანმანათლებლო რესურსცენტრი უერთდება მილოცვას. ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებს და მადლობას უხდის მომავალი თაობის აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“.

ეს არ არის ყველაფერი, რაც 27 თებერვალს ღვაწლმოსილი პედაგოგის ნარგიზ მასწავლებლისათვის მისმა სკოლამ და კოლეგებმა გააკეთეს. როგორ გაულამაზეს დაბადების დღე ქალბატონს, ცოტა ქვემოთ მოგიყვებით. თუმცა, არანაკლებ ემოციური და მნიშვნელოვანი ის უამრავი მისალოცი ტექსტი იყო, რომელიც სოციალურ ქსელში ატვირთეს ყოფილმა მოსწავლეებმა თუ მათმა მშობლებმა, კოლეგებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა, თერჯოლელმა თუ არა თერჯოლელებმა. ესეც ხომ არის აღიარება და დაფასება იმ ღვაწლისა, რომელიც იყო ნამდვილად გულწრფელი, უანგარო და საყვარელი საქმისათვის თავდადების მაგალითი.

მზია ვერულაშვილი, პენსიონერი პედაგოგი: „გილოცავ ნარგიზ, დიდხანს გამყოფოთ მხნედ და ჯანმრთელად თქვენს მოყვარულ და მადლიერ ადამიანებთან ერთად, მიყვარდი და მეყვარები სანამ ვიცოცხლებ“.

ნანა მაკარიძე: „დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვულოცავ და ვუსურვებ ჯანმრთელობასა და მხნეობას. ბედნიერება იყო მისი ახსნილი გაკვეთილის მოსმენა, მთელი გრძნობით, ემოციით, ცრემლებით გადმოცემული ისტორიები, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში გვამოგზაურებდა. ასეთი ადამიანები განსაკუთრებული მისიით იბადებიან. ის ნამდვილად იყო და არის არა მხოლოდ საგნის, არამედ ცხოვრების მასწავლებელი“.

ნანა ბლიაძე: „მასწავლებლის და ზოგადად ადამიანობის ეტალონი, გილოცავთ, გვიყვარხართ, გეფერებით“.

გიორგი ამირანაშვილი: „ქალბატონო ნარგიზ, გულწრფელად მინდა მოგილოცოთ დაბადების დღე, მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა და იმედი... თქვენი კულტურა, ზნეობა, ბავშვებთან მუშაობის თქვენეული სტილი და დიდი მწუხარების მალვის უნარი მაძლევს უფლებას ვისურვო თქვენნაირი ბევრი მასწავლებელი ჰყავდეს განათლების სისტემას... უფალი გფარავდეთ და გაძლევდეთ ძალას მომავალ თაობასთან მუშაობისათვის“.

პედაგოგიურ საქმიანობაში მიღწეულ წარმატების სიხარულთან ერთად ქალბატონ ნარგიზს არაერთი უმძიმესი ტრაგიკული დღეები არგუნა არსთა გამრიგემ, მუდამ სევდასა და მწუხარებასთან ერთად ცხოვრება ადვილი ნამდვილად არ არის... მხოლოდ ღირსეულს შეუძლია ამ მდგომარეობაშიც კი სხვისი ჭირისა თუ ლხინის თანაზიარი იყოს და მოყვასი თავზე მეტად უყვარდეს... ეს ნარგიზს შეუძლია...

ცოტა რამ წარსულიდან

კითხვა და ლიტერატურა ბავშვობიდან უყვარდა. საქვეყნოდ ცნობილი მასწავლებელი და მჭერმეტყველი ლიტერატორი დიმიტრი მაჭავარიანი იყო პირველი, რომელმაც ფილოლოგობა უწინასწარმეტყველა. რთული ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ნარგიზმა ოცნება აიხდინა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, თუმცა ჯერ კიდევ მოსწავლეობისას დედის, უმშვენიერესი ქალბატონის გარდაცვალებით მიღებული ტკივილი არასოდეს ტოვებდა.

სტუდენტობის წლები, მისი თითოეული დღე ლამაზი და საინტერესოა, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისი სურვილი და მისწრაფებაა ნაყოფიერად და გონივრულად გამოიყენოს მისი თითოეული წუთი. ასე იყო ნარგიზის შემთხვევაში: სახელგანთქმულ ლექტორთა საინტერესო ლექციები, გამოცდები, სიახლეებისადმი მისწრაფება, კითხვა, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში ძიება, ექსკურსიები, ისტორიული ადგილებისა და ეკლესია-მონასტრების მონახულება, მწერალთა სახლში ახალი ნაწარმოებების განხილვისას თუ თეატრში ახალი სპექტაკლების ნახვის სიხარული და უამრავი სხვა ლამაზი, საინტერესო დღე...

ხუთმა წელიწადმა სწრაფად გაირბინა. ნარგიზი ვარდიგორის სკოლაში გაანაწილეს, იქ მოხდა მისი, ასე ვთქვათ, მასწავლებლად „კურთხევა“. მიუხედავად შორი გზისა, მახსოვს როგორი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას, რა ბედნიერი იყო, როგორ მოწონდა და უყვარდა ვარდიგორა და მოსწავლეები. მაშინ და მერეც, როცა თერჯოლაში გადმოიყვანეს გაკვეთილის პროცესი იყო მისთვის ყველაზე დიდი „კომფორტის ზონა“ და ამას ვერაფერი ვერ შეცვლიდა. თუმცა წარმატებული იყო მისი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისა თუ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის წლების განმავლობაში დირექტორობა, პასუხისმგებლობის მაღალი განცდა იყო მისი მუდმივი თანამდევი. მოწოდებითა და სულით ხორცამდე მასწავლებელს, მასწავლებლობა ყველა თანამდებობას ერჩია.

მოიპოვო საყოველთაო სიყვარული ადვილი არ არის, ნარგიზმა ეს შეძლო, შეძლო იმიტომ, რომ ის უბრალოდ ასეთია და ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა იმ ულამაზესმა საიუბილეო საღამომ, რომელიც 27 თებერვალს თერჯოლის №2 საჯარო სკოლის ორგანიზებით გაიმართა.

იყო ყველაფერი ამაღლებული და შინაარსით დატვირთული, სწორედ ისეთი, როგორიც ეკადრება ღვაწლმოსილს, განათლებულ და ღირსეულ მოქალაქეთა აღზრდისათვის თავდადებულს.

იუბილარს ყვავილებითა და სიყვარულით შეეგებნენ დარბაზში შეკრებილი მისალოცად მისული კოლეგები, ახლობლები, სტუმრები მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელები.

საიუბილეო საღამომ ყველაფერი დაიტია: ბავშვობა, სტუდენტობა, პირველი ნაბიჯები პედაგოგიურ სარბიელზე, 1977 წლიდან კი, როცა თერჯოლის №2 სკოლა გაიხსნა და ქალბატონი ნარგიზი სკოლის ორგანიზატორად და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაინიშნა, მასთან ერთად დაიწყო სკოლის ისტორიაც.

ითქვა, რომ ახალგაზრდა ენერგიული ქალბატონი იყო არაერთი მნიშვნელოვანი წამოწყების ინიციატორი და ხელმძღვანელი. იგი დირექტორთან, სიმონ გაბრიჭიძესთან ერთად, რომელიც ნამდვილად ღირსეული ადამიანი და ხელმძღვანელი იყო ქმნიდა ყველა პირობას სკოლის ავტორიტეტის ამაღლებისა და საუკეთესო ტრადიციების დამკვიდრებისათვის.

საიუბილეო საღამოს მონაწილეებს ჰქონდათ საშუალება ენახათ №2 საჯარო სკოლის ისტორია, რომელიც სიახლეების დანერგვით, სხვადასხვა უამრავი ღონისძიებით, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდაში მიღწეული წარმატებებით როგორ იმკვიდრებდა მოწინავეთა პოზიციებს.

დაბადების დღე ნარგიზ მასწავლებელს პირველმა თერჯოლის №2 საჯარო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა რუსუდან უსუფაშვილმა მიულოცა, მადლობა გადაუხადა სკოლაზე, მოსწავლეებზე გაწეული ამაგისა და სკოლის პედკოლექტივის სახელით სამახსოვრო სპეციალურად დამზადებული ჯილდო გადასცა წარწერით: „ნარგიზ ცქიფურიშვილი—ცხოვრების მასწავლებელი“.

საიუბილეო საღამო ორიგინალური და სწორად მოფიქრებული იყო იმითაც, რომ საყვარელი პედაგოგისათვის მილოცვა მრავალს ნებისმიერი საცხოვრებელი ადგილიდან შეეძლო ვიდეოჩართვებით. ვინ აღარ მიიღო მონაწილეობა ამ მართლაც საოცრად აწყობილ ღონისძიებაში და იუბილარისათვის ლამაზი განწყობის შექმნაში.

პატარა მაშო ხუხუნაიშვილმა დარბაზში ლექსით მიულოცა დაბადების დღე საყვარელ ბებოს, უფრო პატარებმა ვიდეოჩართვებით.

იყო არაჩვეულებრივი ვიდეო ჩართვა სტუდენტობის მეგობრებიდან, 1974 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებიდან, რომლებთანაც ნარგიზს 55 წლის მერეც არ გაუწყვეტია კონტაქტი და მეგობრობა.

იუბილარს დარბაზიდან ულოცავდნენ №2 საჯარო სკოლის პედაგოგები: მადონა ჩხიკვაძე, მარეხი მემანიშვილი, მაია ცხელიშვილი, ინეზა ბუცხრიკიძე (სიმღერით), დიმა არეშიძე და ირმა ლაბაძე ცეკვით. ყოფილი მოსწავლე, ნანა დევიძე, საგანგებოდ ჩამოვიდა მოსალოცად, რომელმაც თბილი სამადლობელი უთხრა და ლექსიც მიუძღვნა.

დიდი პატივისცემა, მადლიერება და სიყვარული გამოხატეს თავიანთ მისალოც გამოსვლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა გია ბარათაშვილმა, მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ, მერის მოადგილემ მირზა ქოჩიაშვილმა და განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ქეთევან შეყრილაძემ.

იყო ვანო ხუხუნაიშვილის გახსენებაც... გია ბარათაშვილმა მის დიდ ადამიანობას, ღვაწლსა და სამშობლოსათვის თავდადებასაც გაუსვა ხაზი.

ისევ მილოცვები... „თქვენი არსებობა ჩვენთვის ბედნიერებაა, თქვენ ხართ ღირსების, სიკეთის, სათნოების, სისპეტაკის, განსწავლულობის მაგალითი, თქვენი სინათლე დღემდე გვინათებს გზას და გვიფერადებს სამყაროს... თქვენ შეცვალეთ ჩემი ცხოვრება... ბედნიერი ვარ, ამაყი ვარ, რომ ვიყავი თქვენი მოსწავლე... მადლობა, მადლობა... გვიყვარხართ, გვიყვარხართ და ასე შემდეგ...

ასეთი სიტყვებით შეახსენეს თავი და გაულამაზეს იუბილე ნარგიზ მასწავლებელს ყოფილმა მოსწავლეებმა: გიორგი მაკარიძემ, ირაკლი კახიძემ, ირინა გურგენიძემ, თამუნა კირკიტაძემ, ირაკლი აფხაიძემ, სოფიკო კაპანაძემ, ზურა ფოფხაძემ, შორენა რიჟამაძემ, ლაშა საცერაძემ, სალომე ჩუბინიძემ, ზურა და ზაზა ჯანაშიებმა, ეთო ცქიფურიშვილმა, ქეთი და დავით კაკოიშვილებმა, მამუკა გაბრიჭიძემ, მაია ყაზაიშვილმა, ალიკა ჩაფიჩაძემ, მელანო მაკარიძემ და სხვებმა.

იუბილარს გულთბილი წერილებით მიულოცეს პედაგოგებმა ეთერ ტურავამ და ზინა ზარნაძემ, აგრეთვე ანა და თემურ ქოჩიაშვილებმა.

ისევ ვიდეო მილოცვები საზოგადოების წარმომადგენლებიდან—იუბილარს ულოცავენ, მის დიდ დამსახურებაზე საუბრობდნენ და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებდნენ: ნათია გამყრელიძე, სოფო მაკარიძე, გურამ თურქაძე.

როგორც იუბილეს შეეფერება დარბაზში მაგიდებთან მსხდომი ადამიანები სასმისით ლოცავდნენ და დღეგრძელობას უსურვებდნენ იუბილარს და მის გარშემო მყოფ ადამიანებს, იგონებდნენ წარსულებსაც.

საზეიმო სუფრას პენსიონერი პედაგოგი იუზა კირკიტაძე თამადობდა, ხოლო საიუბილეო საღამოს მეორე სკოლის პედაგოგები სოფო სიუკაევა და თეა რიჟამაძე არაჩვეულებრივად უძღვებოდნენ.

მზია ცქიფურიშვილი

თვითმმართველობის საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობისათვის

თერჯოლაში, პროექტის „მეტი გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება ეფექტური თვითმმართველობისთვის“, ფარგლებში, მორიგი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას თერჯოლის მუიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ბაზაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობის ინდექსის მეთოდოლოგიის გაცნობა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის.

აღნიშნული პროექტი იმერეთის მხარეში, გერმანიის ფედერალური მთავრობის, ევროკავშირისა და ასევე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით ხორციელდება და მისი მთავარი მიზანია, უზრუნველყოს თერჯოლის, ტყიბულის და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში ეფექტური თვითმმართველობის და გადაწყვეტილების პროცესში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა.

მენტორის სტატუსი—განსაკუთრებული წესით

თვრამეტი წლის წინ, სიქთარვის საჯარო სკოლაში, როგორც ინგლისური ენის პირველმა მასწავლებელმა, სოფიკო ვაშაკიძემ, პირველი გაკვეთილი ჩაატარა. როგორც თვითონ თქვა ეს იყო უდიდესი პასუხისმგებლობა სკოლის, მოსწავლეების, მშობლების წინაშე, აუმაღლდა მოტივაცია პროფესიის მიმართ, მითუმეტეს, რომ თანდათან იცვლებოდა მიდგომები ინგლისური ენისა და მასწავლებლის მიმართაც.

მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდა სპეციალობასა და პროფესიულ უნარებში 2012 წელს ჩააბარა და მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. სოფიკო ვაშაკიძე გვერდით ედგა სკოლას ისეთი პროექტების განხორციელებაში, როგორიცაა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთვის“ და „მშვიდობის კორპუსი“. 2016 წლიდან დღემდე ექვს უცხოელ მოხალისე მასწავლებელთან თანამშრომლობდა. მოსწავლეებმა აიმაღლეს ცოდნა ინგლისურ ენაში, განვითარდა მათში მოსმენის და საუბრების უნარები, აქტიურად ჩაერთვნენ ჯერ სარაიონო, შემდეგ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულ ინგლისური ენის კონფერენციებში და დიპლომებიც დაიმსახურეს. უცხოელებთან ერთად იმართებოდა სასკოლო თუ სკოლისგარეშე აქტივობები, კლუბური მუშაობა თუ საზაფხულო ბანაკები. მისი მოსწავლეები კარგად ფლობენ ინგლისურ ენას, მათ თავისუფლად შეუძლიათ კომუნიკაცია ამ ენაზე მოსაუბრეებთან. სიქთარვის და ქუთაისის მე-5 საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომელთაც სოფიკო 2020 წლიდან ასწავლის, ჩართულნი არიან ითვინინგის პროექტში, ამით მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა მიაღწიონ წარმატებას თავისი შრომით, ინფორმაციის გაცვლით და გაზიარებით, ონლაინ რეჟიმში

ითანამშრომლონ ევროპის სხვადასხვა მოსწავლეებთან ინგლისურ ენაზე. მოსწავლეები არა მარტო ეუფლებიან უცხო ენას, არამედ იყენებენ ტექნოლოგიებს სწავლა-სწავლების უწყვეტ რეჟიმში. სოფიკო მასწავლებლის მოსწავლეებს მე-7, მე-8 კლასიდან თავისუფლად შეუძლიათ წერილების წერა ევროპის ქვეყნების და ამერიკელ მოსწავლეებთან. მაღალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. სოფიკო ამბობს, რომ კლასში 10-12 მოსწავლიდან 2-3 ათქულიანია, 4-5 ცხრაქულიანი. წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში, გასულან მეორე ტურში, ხოლო ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს ხშირად მიუღწევია მაქსიმალური ქულისათვის.

უცხო ენის მასწავლებლებთან (მაიკლ ფლაუერი, ჯასტინ ქლონინჯერი, პაულ პავლოვსკი) ერთად „ასწავლე და ისწავლე“ პროგრამის ფარგლებში მუშაობამ კიდევ უფრო სრულყო მისი კვალიფიკაცია და 2012 წელს მიიღო უფროსი მასწავლებლის სტატუსი. „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე მასწავლებელთან, კალისია უინქისთან მუშაობაც ნაყოფიერი იყო. წარმატება მოუტანა მშვიდობის კორპუსის ონლაინ პროექტში „პანდემიის პროცესში ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა“, უცხოელ მასწავლებელ მერისა დოგერტთან მუშაობამ. ამ აქტუალურ პროექტში ჩართული ჰყავდა ორივე სკოლის მოსწავლეები, ამ და სხვა ურთიერთობებმა სკოლებიც დაახლოვა.

მას გავლილი აქვს არაერთი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები, მათ შორის, მასწავლებელთა დახელოვნების კურსები ამერიკაში. მონტანას უნივერსიტეტში და ბოუზმენის ჰაისქულში ატარებდა ინგლისური ენის გაკვეთილებს.

2017 წელს ამერიკის საელჩოს მიერ 350 ინგლისური ენის მასწავლებელთა შორის „TEA Program“-ის ფინალისტია.

საქართველოში ჩამოსულმა მონტანას უნივერსიტეტის პროფესორმა მაქსიმ ფონდმა დადებითი შეფასება მისცა მის გაკვეთილებს. 2019-2020 წელი კრედიტქულების, გარე დაკვირვებისა და სკოლაში განხორციელებული კვლევის შედეგად მიენიჭა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. ამერიკის საელჩოს მიერ მიწვეული იყო ტრენინგ კურსებზე სომხეთში, ატარებდა საჩვენებელ გაკვეთილებს ამერიკის საელჩოს პროგრამის ფარგლებში, ჰყავდა პრაქტიკანტები და უზიარებდა გამოცდილებას. 2021-22 სასწავლო წელს მშვიდობის კორპუსთან თანამშრომლობით დაწერა საინტერესო პროექტი, სიქთარველი მოსწავლეები 6 თვის განმავლობაში ჩართულნი იყვნენ ილინოისის უნივერსიტეტის პროექტში და ანხორციელებდნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობას. გაზეთ „ახალ განათლებაში“ აქვეყნებს სტატიებს.

2022-2023 წლის მაისში ზემოთ აღწერილი გამოცდილებიდან გამომდინარე მიიღო მენტორი მასწავლებლის სტატუსი განსაკუთრებული წესით.

სოფიკოს ჰყავს ორი შვილი, მეუღლე კონსტანტინე რობაქიძე ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობია,

გადაღებულია რამდენიმე კინოფილმშიც. შვილი თაზო უმაღლესი განათლებით, სამხედრო-საავალდებლო სამსახურშია, გრიგოლი სტუდენტია, არის წარმატებული სტუდენტი, რამდენიმე პროექტის ავტორი.

ჟუჟუნა ცხადაძე

დედის დღეს გილოცავ დეე!

დედის დღეს გილოცავ დეე... უძლიერესი ქალი ხარ. შენ ხარ ქალი, რომელმაც დიდი გაჭირვება შენი შრომითა და პატიოსნებით გამოიარე, შეუძლებელი შეძელი და ოთხი შვილი გაგვზარდე და გზაზე დაგვაყენე. ეხლა კარგად მესმის შენი თუ რა რთული ყოფილა ცხოვრება.

სიტყვებს ვერ ვპოულობ შენს შესამკობად, ჩემი ხატება ხარ, ის ხატება, რომელმაც გამხადა ის, ვინც ვარ. შენი სიყვარული მთელს სამყაროს იტევს და ამ სიყვარულში გაზრდილმა ვისწავლე ცხოვრება.

ისღა დამრჩენია მუხლმოდრეკილმა მოგიხადო მადლობა ყველაფრისათვის.

დაუსრულებლად მინდა მყავდე დეე, მუდამ გეგაზაფხულებოდეს ჩემო ფერადო, ხალისიანო და მშრომელო დედიკო.

თამარ ჩხეიძე, ემიგრანტი

ეს სადღესასწაულო მილოცვა დედისადმი ჩვენი გაზეთის ემიგრანტმა მკითხველმა, თამარ ჩხეიძემ, გამოგვიგზავნა, გვთხოვა—თქვენს გაზეთში გამოგვიქვეყნეთო. მისი დედა ნარგიზი ჩხეიძეც ემიგრანტია.

დედა-შვილი, ჩვენებურია. თამარმა ქალაქ თერჯოლის პირველი საშუალო სკოლა დაამთავრა. ემიგრაციაში წასვლამდე (2011 წელი) იგი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა.

ემიგრაციაში ცხოვრებამ მას ბევრი სიმძიმე აჩვენა, ახლიდან გააცნო ემიგრანტთა რთული ყოფა.

იგი დღევანდელ ჩვენს ემიგრანტებში პოპულარული პიროვნებაა. მისი პოპულარობა კი, წლების წინ, ერთ-ერთ ინტერნეტგამოცემაში თამარ ჩხეიძისათვის უცნობმა იმ პიროვნებამ განაპირობა, რომელმაც მისი უანგარო დახმარება მიიღო და ამის შესახებ სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა.

ქალბატონ თამარს ბევრი სხვა სიკეთეც უკეთებია.

„როცა ემიგრაციაში ხარ, დიდი თანხა არასოდეს გაქვს. მეც სხვების მსგავსად ოჯახში ვმუშაობ – 93 წლის ბებოს ვუვლი. ფლორენციის ერთ პატარა გარეუბანში ვცხოვრობ. მე თვითონაც ვალი მაქვს აღებული და თანხას მის დასაბრუნებლად ვაგროვებ. დასახმარებელი ფულიც იმ თანხიდან გავეცი, არა უშავს, ვიმუშავებ, კიდევ მოვაგროვებ და ვალსაც გავისტუმრებ. მთავარი ადამიანის სიცოცხლეა.

სიკეთე სხვის თვალებში დანახული ბედნიერებაა... არ აქვს მნიშვნელობა, როგორია შენი ცხოვრება. ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე გადაუხადე ღმერთს მადლობა იმისთვის, რომ ეს დღეც მშვიდობიანად გაგითენდა, რადგან ამ დროს შეიძლება ვიღაც გადარჩენისთვის იბრძვის“—ამბობს ქალბატონი თამარი.

მადლობა მას სიკეთეების კეთებისათვის.

მხნეობა და ჯანმრთელობა მისცეს უხვად უფალმა.

ზეციური საუნჯე

„დიდი მარხვა“

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინ დაწესებულ მარხვას „დიდი“ თავისი მნიშვნელობის გამო ეწოდება. იგი მოიცავს ერთ „წმ. ორმეოცს“, ე.ი. ორმოცდღეს დავნების შვიდეულს (მაცხოვრის ვნების კვირას), რაც ჯამში 49 დღეს გრძელდება. თავდაპირველად დიდი მარხვის ძირითადი დანიშნულება იყო კათაკმეველთა, ანუ ქრისტიანობაზე ახლად მოქცეულთა, მომზადება ნათლისღებისათვის, რაც აღდგომის წინა დღეს, დიდ შაბათს, სრულდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე პირველი ათასწლეულის შემდეგ ეკლესიაში კათაკმეველთა ინსტიტუტი ფაქტობრივად აღარ არსებობს, დიდი მარხვის მთავარი მნიშვნელობა იგივე რჩება, რადგანაც გაქრისტიანების მიუხედევად ჩვენ მუდმივად ვკარგავთ და ვღალატობთ იმ მადლს, რაც ნათლისღებისას მივიღეთ.

დიდი მარხვა გვამზადებს ამ დაბრუნებისთვის და ქრისტეს მიერ მარადიულ ცხოვრებაში გადასვლისთვის. დიდი მარხვა და აღდგომის დღესასწაული ყოველ წელს ხელახლა განგვაცდევინებს იმ საიდუმლოს, რომელიც მაშინ მოგვეცა, როცა ჩვენ ნათლისღებისას მოვკვდით და მკვდრეთით აღვსდექით, ამიტომაც იგი ყოველდღიური დაბრუნებაა ჩვენს „მეორედ შობასთან“.

მარხვა არის ჟამი ფიქრისაც. დღევანდელი ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, თითქმის აღარ გვრჩება ჩვენი ქმედებების და აზრების გაცნობიერებისა და საკუთარ თავში ჩაღრმავების დრო. ინერცია წარმართავს ჩვენს ყოფას.

ჩვენში დალექილი ინფორმაცია გაუცნობიერებლად გვმართავს და გვიპროგრამებს როგორც ყოველდღიურ ყოფას, ისე ადამიანებთან და ხშირ შემთხვევაში ღმერთთან ურთიერთობასაც. ხოლო თუ ადამიანი საკუთარ გულსა და გონებას, საკუთარ სხეულს არ ფლობს, მაშინ ის ხდება რომელიმე ვნებისა (ან ვნებების) მონა. ესა თუ ის ნივთი, ან ქვენა გრძობა იწყებს ადამიანზე გაბატონებას, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანი მართავდეს და განაგებდეს მას.

ჩვენ აუცილებლად უნდა გავიაზროთ, რომ მარხვის არსი არ არის მხოლოდ საკვებისაგან თავის შეკავება, თუმცა ესეც აუცილებელი პირობაა ამ პერიოდის მოღვაწეობისა. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ საკვებისაგან თავის შეკავებით ხორცის მოკვდინება კი არ გვრგებს, არამედ ამ გზითაც შეწევნის მიღება ჩვენში არსებულ ვნებათა დასათრგუნად. ეს არ არის წელიწადის ის პერიოდი როცა გარკვეული ფორმალური რელიგიური მოვალეობების შესრულება გვეკისრება, არამედ იგია საშუალება ღმერთთან ერთობისა, სიყვარულის კავშირის განმტკიცებისა.

ამ მიზნის მისაღწევად კი გვჭირდება: სინანულის საშუალებით ცოდვების და-მარხვა, გემოთმოყვარეობისაგან თავის და-მარხვა, ჭეშმარიტი თავისუფლებისთვის ჩვენი ვნებების და-მარხვა, ლოცვით ყველა იმ წინაღობების და-მარხვა, რომელიც ჩვენსა და ღმერთს შორის დგება. წმ. ბასილი დიდი წერს: „ასე რომ, შესაქები მარხვისათვის არ კმარა მხოლოდ საჭმელისაგან თავის შეზღუდვა, არამედ ვიმარხულოთ ღვთისათვის მისაღები და სათნო მარხვით. ჭეშმარიტი მარხვაა ბოროტებისაგან ჩამოშორება, ენის მოთოკვა, მრისხანების მოცილება, ვნებების მოკვეთა, ბოროტის ტყვეობისაგან, ცრუ აღთქმა-ფიცობისაგან განთავისუფლება, – მშვენიერია ამგვარი მარხვა”.

ჭეშმარიტი მარხვა თანაშერწყმულია მოუკლებელ ლოცვასთან და გულწრფელ სინანულთან. „სინანული მარხვის გარეშე უქმია”, – ამბობს წმ. ბასილი დიდი, ასევე, მარხვაც კეთილი საქმეების გარეშე მკვდარია.

დიდი მარხვა ეკლესიაში განსაკუთრებულ და ყველაზე კურთხეულ პერიოდად ითვლება სულიერი ცხოვრებისათვის. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტიანი დიდი მარხვისას სხვანაირად უნდა ცხოვრობდეს ვიდრე, სხვა დროს. ჩვენთვის ყოველი დღე უნდა იყოს დიდი მარხვაც, დიდი პარასკევიც, დიდი შაბათიც და აღდგომაც. მაგრამ, რადგანაც სულიერ ცხოვრებაში მერყეობები გვახასიათებს, ეკლესიამ, როგორც მზუნველმა დედამ, დაგვიწესა დიდი მარხვა, რათა ამ დროს განსაკუთრებული მობილიზებით აღვიჭურვოთ, რომ ძალისამებრ ჩვენისა ღირსეულად შევეგებოთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და ამ პერიოდში მაინც დავიწყოთ ისეთი ცხოვრება, როგორც ყოველთვის უნდა ვცხოვრობდეთ.

დიდ მარხვას გააჩნია მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც ოთხკვირა დღეს მოიცავს. პირველი მოსამზადებელი კვირა, მეზვერისა და ფარისევლის არის, რომელიც ქრისტიანებს გვასწავლის, ჭეშმარიტ ლოცვას და ღმერთთან დამოკიდებულებას, თუ როგორი ლოცვით და როგორი გულით უნდა წარვსდგეთ ღვთის წინაშე. მეორე კვირა დღე ეს არის უძღები შვილის, ამ დღეს იკითხება ლუკას სახარების მე-15 თავის 11-32 მუხლები. მესამე კვირა არის ხორციელის კვირა ანუ საშინელი სამსჯავროს ხსენება, ამ სახარებაში გადმოცემულია საყოველთაო აღდგომის შესახებ სწავლება და გარჩევა ცოდვილისა და უცოდველისა როგორც მწყემსი განარჩევს ცხვრებს თიკნებისაგან.

მეოთხე კვირა ეს არის ყველიერის კვირა ანუ მიტევების კვირა. ამ დღეს ყოველი ქრისტიანი შენდობას ეუბნება ერთმანეთს. წელს დიდი მარხვა 18 მარტს იწყება, ღმერთმა მოგვცეს მარხვა სინანულისა და აღდგომა სიხარულისა.

ძვირფასო მკითხველო, გაზეთის შემდეგ ნომერში, შემოგთავაზებთ დიდი მარხვის კვირეების ზოგად მიმოხილვას.

დაჩი ბარდაველიძე,
გელათის სასულიერო აკადემიის სტუდენტი

სევდიანი და გაუქმებული ქალთა დღესასწაულები...

საოცარი ქალების ქვეყანაა საქართველო... ისტორიას არ მოვუხმობთ, ორიოდე სიტყვით ჩვენს მკითხველებს მხოლოდ იმას შევახსენებთ, რომ ჩვენი სამშობლო დღემდე სწორედ ქართველ ქალთა თავგანწირვამ, მუხლჩაუხრელმა შრომამ, ბრძოლამ, ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობით, შვილთა სიმრავლემ და მამულისათვის თავდადებულთა აღზრდამ, ჭკუა-გონებამ, მტკიცე ნებისყოფამ და კიდევ, სამშობლოსა და მოყვასის უსაზღვრო სიყვარულმა მოიყვანა.

რა არ გადახდენია და მაინც, იმედი არ დაუკარგავს, ფარ-ხმალი არ დაუყრია, ნაპერწკლიდან კვლავ „კერია“ გაუთბია და თავისი მისია და ვალდებულება ერისა და ქვეყნის მომავლის წინაშე პირნათლად შეუსრულებია... ასე იყო წარსულში, ასეა დღემდე და ასე იქნება ალბათ მომავალშიც...

დიახ, ქართველმა ქალმა ყოველთვის იცის თავისი როლი და ადგილი, მითუმეტეს, პრობლემებით გაჯერებულ დროში...

დედის დღისა და ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნაც ხომ ქალბატონებისათვის მათი დიდი ღვაწლის აღიარება და სიყვარულის გამოხატულებაა, რასაც თავიანთი განვლილი გზითა და ცხოვრებით იმსახურებენ.

გაზაფხულის პირველი თვის ლამაზი დღესასწაულებისადმი მიძღვნილი კვირეული, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაიგეგმა და ლამაზ, დაუვიწყარ დღეებს უმზადებდა ქალბატონებს, დიდებს თუ პატარებს, სამწუხაროდ, ტკივილითა და მწუხარებით შეიცვალა. საზანოში, მდინარე ძუსაზე, ე.წ. „ქადაგიძის რაფის“ ლამაზი ჩანჩქერის ფონზე ოთხი ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლის დასრულება, არა მხოლოდ ამ სოფლის და მათი ოჯახების, არამედ სრულიად თერჯოლისა და ქვეყნის უსაზღვრო ტკივილია.

არ ვიცით, ვერ წარმოგვიდგენია ახლა თუ რომელიმე ადამიანს, მითუმეტეს დედას, სძინავს მშვიდად... უდიდესია ტკივილი, თითოეული ადამიანის დაკარგვის, მითუმეტეს ახალგაზრდების ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ოთხი გარდაცვლილიდან სამი ახალგაზრდა გოგონაა, სიცოცხლე, რომ უხაროდათ, აქედან რომ უნდა აეთვალათ ცხოვრების სავალი... ქალთა დღესასწაულებიც თავად უნდა ეზეიმათ და დედიკოებსაც მოფერებოდნენ...

გლოვობს თერჯოლა... საზანოელ მამა-შვილს არსენ და ლიზი რობაქიძეებს და კიდევ ორ გოგონას, ნინო კენჭოშვილს და ელენე შუკაკიძეს, ჭიათურის №1 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელებს.

ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი ზეცადამაღლებულ მათ სულებს.

„თერჯოლა“

1☞

უმძიმესი ტრაგედია, მოუშუშებელი ტკივილი...

ძაძა ჩაიცვა გაზაფხულმა.. გაქვავდა ქალაქი... სამი ანგელოზი, რომელიც სიცოცხლით ხარობდა, მომავალს გეგმავდა, ათასნაირად ხატავდა ბედნიერების გზას, გულით მზეს დაატარებდა და ყოველი დღის გათენებას ზეიმობდა, გაფრინდა...

გაფრინდა შორს, უცნობ გზაზე, ცოცხლად დარჩენილთათვის მიუვალ ნაპირზე....

დუმს სკოლა... სკოლა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ მათი ნაბიჯებით ხარობდა, მათი სიცილით ხმაურობდა და მათი მომავლის გეგმებს ისმენდა...

თითოეული მასწავლებლის გულში ცეცხლი ანთია, ცეცხლი, რომელსაც ვერაფერი აქრობს...

ბავშვები, რომლებთან ერთადაც გაიზარდეთ, თორმეტი წელი ისწავლეთ და დაძმანივით შეიყვარეთ ერთმანეთი, თავზარდაცემულნი არიან. მათ ხომ სამი თანაკლასელი, სამი და დაკარგეს. დაკარგეს მაშინ, როცა ცხოვრების ახალ ეტაპზე გადიოდნენ, სიცილ-კისკისით სტუდენტობის ზეიმობას აპირებდნენ და ახალ ცხოვრებას იწყებდნენ. რა იცოდნენ, თუ თქვენ, ასე სწრაფად გადაიფრენდით ურთულეს გზებს, დაიპყრობდით ცის კამარას და მზეს შეუერთდებოდით კაშკაშა სხივებად. „ნუთუ, ღმერთო, ამისთანა მსხვერპლი, მართლა საჭირო იყო?!“ ყველა სიტყვა უძლურია ამ ტრაგედიასთან, ნუგეში, უბრალოდ არ არის...

ჩვენო თვალმერცხალა ანგელოზებო ნინო, ელენე, ლიზი... ერთი რაც შეგვიძლია გითხრათ ისაა, რომ თქვენ მუდამ იცოცხლებთ თითოეული ჩვენგანის გულებში... ის წილი მზე, რომელიც ჩვენში აანთეთ და დატოვეთ სითბოდ და სიყვარულად, არასდროს ჩაქრება.

ქალაქ ჭიათურის N 1 საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური საზოგადოება, მოსწავლეები და მათი მშობლები, ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე სკოლის, მე-12 კლასის მოსწავლეების ნინო კენჭოშვილის, ელენე შუკაკიძის და ლიზი რობაქიძის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლობა ბარდუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში და გაზეთ „თერჯოლის“ რედაქცია მწუხარებაში თანაუგრძნობენ ოჯახს ტრაგიკული შემთხვევის შედეგად

გაგი კლდიაშვილის

გარდაცვალების გამო.

მანანა კირკიტაძე, ფატი კუპატაძე, ზაირა ალხაზაშვილი, მზია ცქიფურიშვილი, ჟუჟუნა ცხადაძე სამძიმარს უცხადებენ მანანა რობაქიძეს მეუღლის

ელგუჯა ჭანკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ სოფო ბუსკივაძეს და გურამ თურქაძეს დედისა და სიდედრის

ნათელა მოდებაძე-ბუსკივაძის

გარდაცვალების გამო.

ფიქრები ოთხ განსაკუთრებულ მოვლენაზე

ამ დღეებში, მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების 2022 წლის კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები გადაეცათ. ბოლო ზარის ზეიმი, უმაღლეს სასწავლებელში სასურველ ფაკულტეტზე ჩარიცხვა, გრანტის მოპოვება და მედლის გადაცემა, როგორც მათ თავად აღნიშნეს, განსაკუთრებული მოვლენა იყო თითოეულის ცხოვრებაში. სწორედ ამ ოთხი, განსაკუთრებული მოვლენის შესახებ თითო კითხვით მივმართეთ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებს, ოქროს მედლების და 70%-ანი გრანტის მფლობელებს მარიამ ბუსკივაძეს და ვაჟა მემანიშვილს, მათი კლასის ხელმძღვანელს და მასწავლებელს ეკატერინე კირკიტაძეს.

—რა იგრძენით, როცა სკოლა დაამთავრეთ, როცა სტუდენტი გახდით და გრანტიც მოიპოვეთ, როცა მედლებიც „ჩაიბარეთ“ და როგორია თქვენი უახლოესი და შორეული გეგმები?

მარიამ ბუსკივაძე: როდესაც გაისმა წკრიალი ბოლო ზარისა, ემოციის ტალღები დაეჯახა ჩემი სულის ნაპირებს, დიდი იყო ემოციები. სტუდენტობა ნიშნავს განმანათლებლობის

ლაბირინთული დერეფნების გავლას, ამიტომ, ცხადია, ვიყავი აღელვებული, რომ შევჭიდებოდი ჩემი წილი ჯვარის ზიდვას. სტუდენტობა უბედნიერესი მოვლენაა, გრანტიც მნიშვნელოვანი, მედლის მიღებამ მაგრძნობინა, რომ თორმეტწლიან შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. ჩემი გრძელვადიანი გეგმების ოდისეა დახატულია ამბიციური ვარსკვლავებით, რომლებიც მიმიკვლევენ გზას შესაძლებლობის უკიდეგანო სივრცეში, ხოლო აწმყოს ეფემერულ გარსში მე ნაზად ვზრდი მისწრაფების ფესვგადგმულ ხეს, რადგან ვიცი, რომ დღევანდელი დასხმული წყალი ხვალ ლამაზ აყვავილებულ ტოტებს დაცვარავს. ასე რომ, ჩემი მოკლევადიანი გეგმაა ყოველი დღე ვაქციო წინაზე ნაყოფიერი, რათა შევეჭიდო **უფრო დიად მიზნებს.**

ვაჟა მემანიშვილი: სკოლის დამთავრებისას დამეუფლა უცნაური შეგრძნება, რადგან გავაანალიზე, რომ ცხოვრების ახალ, მნიშვნელოვან ეტაპზე გადავედი, რაც ჩემთვის მეტად საინტერესოა. დაახლოებით იგივე შეგრძნება დამეუფლა მაშინაც, როცა გავიგე, რომ სტუდენტი გავხდი და გრანტიც მოვიპოვე, ვინაიდან ეს სკოლის დამთავრებიდან მალევე მოხდა, თუმცა დამატებით გავაანალიზე ისიც, რომ სტუდენტობისას მომიწევდა ბევრი შრომა, უფრო რთულ გამოწვევებთან გამკლავება და დამოუკიდებლობასთან ადაპტაცია, რაც საინტერესოსთან ერთად, ბუნებრივია, მცირედით დამთრგუნველიცაა. ახლახან თორმეტწლიანი შრომის შედეგი—ოქროს მედალიც „ჩავიბარე“, რაც ერთ-ერთი ლამაზი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, ჩემი მთავარი მიზანია, კიდევ უფრო გავიზარდო პიროვნულად, განვვითარდე აკადემიურად და გავიკვლიო კარიერული გზა.

—თქვენ მეორე მშობლად იწოდებით, როგორია თქვენი, როგორც კლასის დამრიგებლის და მასწავლებლის როლი მათ აღზრდაში, რას გრძნობთ, როცა თქვენი სადამრიგებლო კლასის მოსწავლე სტუდენტი ხდება და როგორ ადევნებთ თვალს მათ შემდეგ ცხოვრებას.

ეკატერინე კირკიტაძე:

2013 წლის 15 სექტემბერი... საკლასო ოთახი, ჩემი პირველი სადამრიგებლო კლასი... მრავლისმეტყველი თვალებით რომ მიყურებენ და მე, დამრიგებელი ვფიქრობ როგორ უნდა დავეხმარო მათ პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში, მიზნების დასახვასა და განხორციელებაში, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერების განვითარებაში და ასევე ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

მოსწავლეებისთვის სწორედ სკოლა წარმოადგენს ადგილს, რომელიც ამზადებს მათ იმ გამოწვევების, საინტერესო და სიურპრიზებით სავსე ცხოვრებისთვის, რომელიც მათ წინ ელოდებათ. მე, როგორც დამრიგებელმა და მათმა მასწავლებელმა, სხვა ჩემს კოლეგებთან ერთად, შევძელი, რომ ჩემი მოსწავლეებისათვის მიმეცა ის ცოდნა, უნარ-ჩვევები, ცხოვრებისეული გამოცდილება, დემოკრატიული ღირებულებები და გამეზარდა იმ ფასეულობებზე, რაც ასე საჭირო და აუცილებელია 21-ე საუკუნის ახალგაზრდისთვის. ისინიც მოწადინებულნი, ცოდნის შეძენის სურვილით თვალებანთებულნი იყვნენ ყოველთვის და არასდროს არ გაუცრუებიათ ჩვენთვის იმედი.

და თქვენ, ჩემო ბავშვებო, ყველამ ერთად შეძელით ჩემი და სკოლის სასწავლო გარემოს გალამაზება, გვქონდა ცოდნის ზეიმი, ახლის ძიება, პატივისცემა და მე მჯერა, ყოველთვის გემახსოვრებათ ის 12 წელი სკოლისა, რომლის კედლებში მიღებულმა ცოდნამ გზა გაგიხსნათ წარმატებული და ლამაზი ცხოვრებისაკენ.

ცხოვრება ზოგჯერ რთულია, მაგრამ არასდროს დანებდეთ, იარეთ წინ, იყავით მისაბაძი ადამიანები ყველა თაობისთვის. ისწავლეთ, იშრომეთ, იპოვეთ თქვენი თავი და საქმე, რომელიც გაგაბედნიერებთ. თქვენი წარმატების საიდუმლო ხომ ისევ თქვენს ხელშია. ოქროს მედლები კი გვირგვინია იმ წარმატებებისა და გამარჯვებისა, რომელიც სკოლას მოუტანეთ, ამიტომ მადლობას გიხდით ყველა მოსწავლეს ამ ერთგულებისა და დაფასებისთვის.

ვცდილობ ყოველთვის ვადევნო თვალი თქვენს წინსვლას და მჯერა, როგორი საინტერესონიც ხართ, ასეთივე საინტერესო და განსაკუთრებულ მომავალს შექმნით.

თქვენ ამას შეძლებთ!!!

მასწავლებლებს, რომლებთაც აღზრდა ჰქონდათ დავალებული, შეასრულეს ვალდებულება სრული სიყვარულით და სინდისიერებით. თუ 2022 წლის, წინა და მომავალი წლების კურსდამთავრებულები ისე გააგრძელებენ ცხოვრებას, როგორც ისინი ფიქრობენ, დიდ სარგებლობას მოუტანენ თავიანთ თავს, ოჯახს, ქვეყანას, მონახავენ ღირსეულ ადგილს საზოგადოებაში, მედლით თუ უმედლოდ, საჯარო თუ უმაღლესი განათლებით, სულერთია, მაშინ მასწავლებლის დანიშნულებაც შესრულებული იქნება, თანდათან გამოჩნდება ოჯახის როლიც, თავის დროზე სკოლასთან მათი კავშირი, ერთიანი თანამოღვაწეობა.

ძირძველ უბანში, მწვანეყვავილაზე...

რეჟისორს, მსახიობს, კარგ მამას და მეუღლეს, ნიჭიერ, შემოქმედ კაცს ტატო პატარიძეს უყვარს მშობლიური ქუთაისი და მისი ძირძველი უბანი მწვანეყვავილა, სადაც გაიზარდა, პედაგოგი მშობლები აყვარებდნენ უბანს, შრომასა და სწავლასაც...

ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს, მსახურობდა პოლონეთში. ვალმოხდილმა სწავლა გააგრძელა თბილისის თეატრალურ სასწავლებელში სარეჟისორო ფაკულტეტზე. ნიჭიერს, განათლებულსა და უბრალოდ კარგ კაცს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში რეჟისორის ასისტენტად იღებენ. ტატოს სამსახიობო ნიჭი მალე შეამჩნიეს და რამდენიმე როლიც მისცეს სხვადასხვა სპექტაკლში. წარმატება მოუტანა ედუარდ ოლბის „რა მოხდა სამხეცეში“ (რეჟისორი ლევან როხვაძე), კამიუს „კალიგულამ“ (რეჟისორი ლევან სვანაძე), დათო ტურაშვილის „და ერთ მშვენიერ დღეს“ (რეჟისორი ლილი ბურბუთაშვილი), ოტია იოსელიანის „გამოქვაბული“ (რეჟისორი ლერი პაქსაშვილი) და მრავალმა სხვამ.

1999 წელს ტატო პატარიძე ინიშნება განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ მოზარდ მაყურებელთა სახალხო თეატრის ხელმძღვანელად და რეჟისორად, სადაც 10 წელი მუშაობდა და მრავალი საინტერესო სპექტაკლი დადგა და ხიბლავდა მაყურებელს ეს სპექტაკლები. სკოლა და მოსწავლეები ტატოს გატაცება იყო, ჰქონდა მრავალი შეთავაზება, მაგრამ მოზარდებთან მუშაობა განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა. ქუთაისის მე-5, მე-15, 31-ე, 37-ე საჯარო სკოლებში, წყალტუბოს პირველ საჯარო სკოლაში და რეგიონებში მსახიობის ხელოვნებას აზიარებდა ახალგაზრდებს, განსაკუთრებულად იხსენებს ლენტეხის რაიონის ხელედის, ბოლნისის რაიონის ნახიდურის, პანკისში დუისის საჯარო სკოლებში მუშაობის პერიოდს, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა აღმოაჩინა და ერთეულები მის გზას დაადგნენ.

ტატო განსაკუთრებულად დაინტერესდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლებით, თერჯოლის №1 და ძევრის საჯარო სკოლებში მუშაობა მისთვის გამორჩეული იყო, გამორჩეული ნიჭიერი ბავშვებით. ამასთან ტატო არის ქუთაისის ერემია სვანიძის სახელობის დამოუკიდებელი დასის რეჟისორი, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მასწავლებელთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, ყოველწლიურად ატარებს საქველმოქმედო სპექტაკლს ბავშვთა სოფელში, მოხუცთა თავშესაფარში. არის არაერთი ჯილდოს და სიგელის მფლობელი.

ძევრის ბავშვთა თეატრი

მალე ათი წელი გახდება, რაც ტატო პატარიძემ ძევრის საჯარო სკოლაში, დირექტორის მანუჩარ ფანჩულიძის თანადგომით ბავშვთა თეატრი დააარსა და თითქმის ყველა უფროსკლასელის შეაძლებლობა გამოსცადა, ბევრი ნიჭიერი აღმოაჩინა, მოზარდთა დაინტერესებაც საგრძნობი იყო და ერთად დაიწყეს ფიქრი პირველად რა სპექტაკლი დაედგათ. ნოდარ დუმბაძის „ჰელადოს“ და „მე ვხედავ მზეს“ „ნაცარქექია“ მოჰყვა. ახლა „მსახიობების“ შერჩევა დაბალი კლასებიდან დაიწყო, როლს თუ არ მისცემდა, ასწრებდა მეცადინეობებს, ეს მათი „დახელოვნების“ საშუალებად მიაჩნდა, სწორედ ამიტომ ჰყავს ძევრის სკოლას სპექტაკლში მონაწილეობისათვის მუდმივი ნაკადი. მოგვიანებით დაიდგა თაბუკაშვილის „შენსკენ სავალი გზები“, შამანიძის „ღია შუშაბანდები“, კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ „ღია შუშაბანდები“ ქუთაისის მიუსაფარ მოხუცთა სახლის ბენეფიციარებთან ერთად დაიდგა. თეატრს წლების განმავლობაში გვერდში უდგას „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“, ძევრის სკოლის კურსდამთავრებულები მალხაზ გიორგაძე და ზვიად მეფარიძე.

სპექტაკლები დიდი მოწონებით სარგებლობს არა მარტო მუნიციპალიტეტის სკოლებში, არამედ სპექტაკლები შეიყვარა ყველამ, ვინც იგი ნახა. ჰქონდათ ე.წ. „გასტროლები“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ფესტივალებზე... ეს წარმატებები ბავშვთა დრამატურგ ტატო პატარიძის დამსახურებაა.

ძევრის სკოლაში თეატრის სიყვარულით იზრდებიან თაობები, ტატო კიდევ მრავალ სპექტაკლს დადგამს ძევრის და სხვა სკოლებში, რითაც ხელს შეუწყობს მათ აირჩიონ მშვენიერების ეს გზა...

ძევრელი მოსწავლეები და მათი საყვარელი რეჟისორი ტატო პატარიძე ფიქრობენ როგორ გააცოცხლონ ვაჟა ფშაველას გმირები, „სტუმარ-მასპინძელს“ მალე ვიხილავთ.

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872